გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია 'ში, აგჭალის ქუჩაზედ, გარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლეში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893

სალიტერატურო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1893

## „ივერია“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც სურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთ-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დასკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

## ტფილისი

24 სექტემბერი

მრავალ გამვლელ-გამომვლელთა შორის ვ. ხ. კრივენკოსაც უმოგზაურია ჩვენს ქვეყანაში და ნახული და გაგონილი ერთ წიგნად დაუბეჭდია. ამ წიგნში ნაღვლიანად ამბობს, რომ რუსეთის გვირგვინის „უძვირფასესი თვალი“,—კავკასია, სარგებლობის მაგიერ, ზარალის მეტს არას იძლევაო. შემოსავალი წელიწადში თვრამეტი მილიონია, ხარჯი-კი 45 მილიონიო. ვაჭრობა-მრეწველობა უცხოელთ ჩაუგდიათ ხელში, სიმდიდრე კავკასიისა ჯერაც ხელ-უხლებელია, ტყეებიურიგოდ იჩეხება, მდინარენი სილით და ლამით ავსებენ ნაყოფიერ ველმინდვრებს და სხვ.

ბ-ნ კრივენკოს სამართლიანად გაჰკვირვებია, რომ კავკასიაში, სადაც კაცის ხელ-უხლებლად ჰხარობს ვაზი, ღვინის კეთების სკოლა არ არსებობს; ამავე დროს-კი დიდის მეცადინეობით და ბეჯითობით ასწავლიან მკვიდრთა ლათინურსა და ბერძნულ გრამატიკებსაო.

ამას შემდეგ ნურავის გაუკვირდება, რომ კავკასიის მდიდარის ბუნებით ვერა ვსარგებლობთ და სიღარიბემ ლამის დაგვარჩოს. უსწავლელი და უცოდინარი კაცი ეხლანდელ დროში ბევრს ვერას გამორჩება ბუნებას, ძალიან უხვიც რომ იყოს ეს უკანასკნელი.

ეს რა გიკვირთო, ამბობს პროფესორი ივანიუკოვი, რომლის წერილიდანაც ამოვკრიფეთ ზემოდ მოყვანილი ცნობანი. კავკასიაში აქამდისინ არ გაგვითავებია გამიჯვნა, რის გამოც მამულის მფლობელობა ისე არეულ-დარეულია, რომ ენით არ გამოითქმებაო.

არც ბ-ნ ივანიუკოვის სიტყვებში და არც ბ-ნ კრივენკოს წუხილში ახალი არა არის-რა. ყველაფერი ეს კარგად იცის ქართველმა კაცმა.

მკითხველის ყურადღებას დღეს აი რას მივაქცევთ. რუსეთის მწერლობა აქამდისინ დაჟინებით გაიძახოდა, კავკასიაში უხვი და მრავალი თავისუფალი მამულია და ურჩევდა მთავრობას, დაასახლეთ ეგ ადგილები შიდა გუბერნიებში უმამულობით შეწუხებულ ხალხითაო. ჩვენის ქვეყნის სტატისტიკის მცირეოდენმა შესწავლამ, ეტყობა, თვალი აუხილა მწერლობას და დღეს აღარ იმეორებენ, თითო-ოროლანი მაინც, შემცდარს აზრს.

კავკასიის მკვიდრთა მესამედი ნაწილი მამულის სიმცირით შეწუხებულია,—ამბობს ივანიუკოვი,—შავის ზღვის დაცალიერებული ნაპირები-კი მოხელეებს დავურიგეთ, რომელთაც 1886 წელს შეუმუშავებიათ მხოლოდ 840 დღიური მიწა, საჩუქრად-კი მიეზომათ 180,000 დღიური!

შავი ზღვის ნაპირად კიდევ ბლომად არის თავისუფალი მამული. აქამდისინ თუ ძნელი იყო მისი გამოყენება, დღეს ეს დაბრკოლება აღარ არსებობს, რადგან შარშან მთავრობამ დამშეული ხალხი ამუშავა და გზა-ტკეცილი გაიყვანა.

წინადაც ბევრჯერ გვითქვამს და დღესაც ვიტყვით, რომ ამ ალაგებში რუსთა ახალ-შენებმა ვერ იხეირეს, თუმცა მთავრობამ ახლად დასახლებულთ ბევრი შეღავათი მისცა. ახალი მოსახლე ვერ შეეთვისა აქაურ ჰავას, ბარში აღზრდილმა ვერა მოახერხა-რა მთიან და ჩქარ-წყლიან ადგილას და ვერ შეებრძოლა ბუნების სიმძლავრეს. ჩვენის კაცისათვის-კი სწორედ ზედ გამოჭრილია ეს კურთხეული ქვეყანა; მისი შრომა და ღვაწლი შავი ზღვის პირს სამოთხედ გადააქცევს იქაურობას: სახელმწიფოსაც ასარგებლებს და თვითონაც წელში გაიმართება. შავი ზღვის ნაპირები განსაკუთრებით ხელ-საყრელია ქუთაისის გუბერნიის მკვიდრთათვის, რომელნიც სხვა ქართველებზე მომეტებულად შევიწროებულნი არიან მამულის სიმცირით.

ბ-ნმა ივანიუკოვმა რომ იცოდეს, რა ფასი აქვს მამულს იმერეთ-რაჭაში, უეჭველია, უფრო მომეტებულის თანაგრძნობით მოგვექცეოდა და ერთის ფრაზის მაგიერ, კავკასიის მესამედი ნაწილი უმამულობით შეწუხებულიაო, საქვეყნოდ იტყოდა: დროა სახელმწიფო დაეხმაროს მხნე და ფხიზელ მუშაკსაო.

ა. ფრონელი

## ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

სექტემბრის 23-ს მიხეილის საავადმყოფოში მოიყვანეს ორი ხოლერით ავადმყოფი: 1) ბეჟან მახარობლიშვილი (ალტირელიის ბალკა, ლომიძეს სახლი) და 2) მარიამ ევნუკაშვილი, პოლიციის მეხუთე ნაწილიდგან (პოლიციის ქუჩა, სახლი № 48).

იმავე დღეს საავადმყოფოში გარდაიცვალა მარიამ ევნუკაშვილი.

ბაქოს გუბერნია

ბაქოში სექტემბრის 19-ს დილით 2 ხოლერით ავადმყოფი იყო. ამ დღეს კიდევ ხოლერით ავად გახდა ერთი, რომელიც იმავე დღეს გარდაიცვალა, სექტემბრის 20-ს ავად გახდა ორი კაცი, და ორივენი იმავ დღესვე გარდაიცვალნენ.

## ახალი ამბავი

*** ამას წინად ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობამ თხოვნა მიართვა მთავრობას, ნება მოგვეცით თვალ-ყური ვადევნოთ და კონტროლი გვეჭიროს ტფილისის საკრედიტო საზოგადოებასაო. ფინანსთა მინისტრს ეს თხოვნა არ შეუწყნარებია, ხოლო უცნობებია კავკასიის მთავარ-მართებლისათვის, რომ მალე შემუშავებული იქნება პროექტი ყველა საკრედიტო საზოგადოებათა კონტროლის შესახებ და ტფილისის საბჭოს თხოვნა სახეში გვექნებაო.

*** გზათა სამინისტროს, როგორც რუსეთის სატახტო გაზეთები იუწყებიან, ახალი დებულება გამოუცხადებია, რომლის ძალითაც რკინის გზით მიმავალ მგზავრს უნდა უფასოდ უწამლონ, თუ რაიმე უბედურება შეემთხვა. ამის გარდა უნდა უწამლონ უსასყიდლოდ აგრეთვე რკინის გზის მოხელეებს, ოსტატებს, მუშებს, დღიურადაც რომ იყვნენ დაჭერილნი, და მათს ცოლ-შვილს. თუ მუშა ავად გახდა სამუშაოზედ, მაშინ იმასაც და მის ცოლ-შვილსაც დახმარება

## ფელეტონი

ჯავახეთი

(ახალქალაქის მაზრა)

მგზავრის შენიშვნები

29 მარიამობისთვეს, როდესაც ჩვენ ახალქალაქიდამ მაზრის ჩრდილოეთისაკენ გავემგზავრენით, მშვენიერი გრილი დარი იდგა. მიხვეულ-მოხვეულმა გზა-ტკეცილმა, რომელიც ახალქალაქს ახალციხეს უერთებს, თაფარავნის წყალის ვრცელ და კლდიან ღელეში ჩაგვიყვანა. თაფარავნის წყალი მომდინარეობს ერთის ტბიდგან, რომელსაც ეწოდება თაფარავანი. აქ, ამ ტბის ნაპირზე, როგორც ისტორია მოგვითხრობს, წმ. ნინომ მიიღო ვაზის ჯვარი და ლოცვა-კურთხევა ღვთის-მშობელისმიერ, მის წილად ხდომილ საქართველოში ნათელის მოსაფენად. წმინ. ნინომ ამ ტბაში მონადირე მეთევზეებს გამოჰკითხა ივერიისა და მის მეფის ამბავი და სთხოვა, ეჩვენებინათ გზა მცხეთისა. მეთევზეებმა აუხსნეს: აი, ამ ტბიდამ მიმავალ მდინარეს მიჰყე და მცხეთას ჩახვალო. მართლაც და თაფარავნის წყალი ჯერ მთელ ჯავახეთს შუაზე სჭრის და მერე დაბა ხერთვისთან უერთდება არტაანიდგან მომდინარე მტკვარს.

თაფარავნის წყალის ხიდს გავცილდით და ღელის აღმართს შევუდექით. ამ აღმართზე ადის კაი საურმე გზა, ბორჯომისკენ მიმავალი. აგერ ხუთმეტი წელიწადი მეტია, მთავრობამ ეს გზა ბორჯომიდგან პირდაპირ მთაზე გადმოიყვანა და ახალქალაქს შეუერთა. ქვა უკვე მოზიდულია და ჯერ-ჯერობით-კი მხოლოდ ბორჯომის მხრიდგან ნახევარზეა დაყრილი და გატკეცილი. ამ გზას დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას აძლევენ, რადგან ბორჯომიდგან ახალქალაქამდე სულ სამოც ვერსის მანძილია და ომის დროს ხაშურამდე რკინის გზით მოყვანილი ჯარები და მათი ტვირთი პირდაპირ ყარსში მივა სამ-ოთხ დღეს. ასეც იყო წარსულს ომში:—მთელი ორი გრენადერთა დივიზია, მოსკოვიდგან მომავალი, დუხაბორებმა ხაშურიდგან ფურგუნებით ამოიყვანეს და ბორჯომ-ახალქალაქის გზით სამს დღეში ყარსთან გააჩინეს.

იქნება მკითხველმა გაიკვიროს, საიდამ შესწევთ დუხაბორებს ამოდენა ძალაო. უნდა მოგახსენოთ, რომ ახალქალაქის მაზრაში სულ რვა სოფელია დუხაბორებისა, რვაას კომლამდე. აი, ამ ერთ მუჭა ხალხში, ეს რამდენიმე წელიწადია, მთავრობამააწერინა მთლად ცხენები და ფურგუნები და აღმოჩნდა, რომ ამ რვა სოფლის დუხაბორებს გაუჭირვებლივ შეუძლიანთ ათასი ფურგუნი ოთხცხენ შებმული გამოიყვანონ ომიანობის დროს და ახლა ვალად სძევთ დუხაბორებს ეს ბეგარა, თუ ვინიცობაა ომიანობა მოხდა. განვლილ რუს-ოსმალოს ომშიაც დუხაბორების ხუთასი ფურგუნი და ორასი მარხილი მუშაობდა ყარსსა და არზრუმს შუა და თითო ფურგუნში თთვეში ოთხას მანეთს იღებდნენ მთავრობისაგან.

ბორჯომის გზას, არა თუ ომის დროს, მშვიდობიანობის დროსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ გზით ბორჯომის მთიდგან აუარებელ ხე-ტყეს მოეზიდებიან მთელი ახალქალაქის და ალექსანდრაპოლის (გუმბრი) მაზრები. ყარსამდე თითქმის სულ ბორჯომის ხე-ტყეა ხმარებაში. თუმცა საცკიციანო მთიდგან ნაკლები ხე-ტყე არ გამოვა და ახალქალაქის მაზრასაც ესაზღვრება, მაგრამ უგზოობის გამო ხალხი ძრიელ ერიდება. ციციაანთ დიდ მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოთ ეს ქართული დაუდევრობა, რადგან, რიგიანი გზა რო ჰქონდეს მათს მთას, მაშინ აქეთა მხრის სამ-ოთხ უტყეო, მოტიტვლებულ მაზრებს მიიმხრობდნენ და მარტო ტყიდან, ბორჯომის მამულთან კონკურენციით, ყოველ წლივ ათას თუმნობით შეიძენდნენ.

ბორჯომის მამულის წინანდელი მოურავი, ამ ზემო თქმულ ბორჯომ-ახალქალაქის გზატკეცილს არც-კი სჯერდებოდა: იმას უნდოდა ამ გზაზე ვიწრო-ზოლიანი რკინის გზა გაეყვანა და ახალ-ქალაქში ხე-ტყის საწყობები გაემართა, რომ აქედგან ამ მაზრებისა და ყარსისთვის ეძლია. ამ აზრით ახალ-ქალაქში ადგილიც-კი ნაყიდი ჰქონდა საწყობის ასაშენებელ-გასამართავად, მაგრამ ეს აზრი სრულებით უარ-ჰყო. იმას-კი ნამდვილად აპირებენ, რომ ხსენებული გზა სამუდამო ფოსტის გზად გადააკეთონ და, რადგან ბორჯომის მთის ქედის გადასავალი თითქმის გუდაურისას უდრის სიმაღლით და ზამთრობით გასაჭირია აქ მოგზაურობა, ამიტომ გადაწყვეტილია მთაზედ, ახლო-ახლო, თითო ვერსის მანძილზე საყარაულოები გამართონ. ყარაულების ვალი იქნება თოვლის წმენდა და გზის წესიერად შენახვა.

რამდენჯერმე ისიც გაგვიგონია, რომ ზეზემანებმა მათ მიერ ატენის ხეობაში გაყვანილ რკინის გზიდან უნდა გვირაბი გათხარონ და ახალქალაქის მაზრაში გამოახედონ და აქედგან ჰგზანონ ხე-ტყე და შეშა მთელ ამ უტყეო მაზრებში და ყარსშიო.

უცხოელებს ამისთანა გაბედული აზრები ებადებათ და ჩვენს ქართველ მემამულეებს-კი ტყე ულპებათ და უბრალო საურმე გზაც ვერ მოუხერხებიათ. ჩვენ ეხლავე ვიცით, რომ ათას მიზეზების ბრალია ეს დაუდევრობა, მაგრამ „გული გულობდეს, თორემ ქადა ორის ხელით იჭმევაო.“

როგორც მკითხველმაც იცის, ამ ჟამად ხაშურიდგან ბორჯომამდე რკინის გზა გაჰყავთ. შემდეგში რკინის გზა ბორჯომის ხეობით მტკვრის პირ-პირ ახალციხემდე ავა, ერთს ტოტს აბასთუმნამდე გაიყვანენ და ახალციხიდგან-კი მტკვრის ხეობით ახალ-ქალაქამდე მოვა რკინის გზა და აქედგან ყარსში წავა. აი, მაშინ გაეხსნებოდა გზა და ბაზარი საციციანო ტყეებს, მაგრამ ციციანთ, უგზოობის გამო, ტყე ისევ დაულპებათ, ბურთი და მოედანი-კი ისევ ბორჯომის ტყეს დარჩება.

ილ. ალხაზიშვილი

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა აღმოუჩინოს რკინის გზის სამმართველომ. უბედურ შემთხვევით დაზიანებულს უნდა უწამლონ, ვიდრე მორჩება. ავადმყოფ მოხელეს და მუშას უნდა უწამლონ ორის თვის განმავლობაში, ხოლო უფროსს მკურნალს შეუძლიან ეს ვადა კიდევ განაგრძოს. თუ მგზავრი ავად გახდა და წასვლა აღარ შეუძლიან, სადგურის უფროსმა უნდა მკურნალი მოიწვიოს და პირველ დახმარების შემდეგ მახლობელ საავადმყოფოში უნდა გაიგზავნოს.

*** ბერლინის კონფერენციამ დაადგინა რუსეთ-გერმანიის კავშირს შეუერთოს კავკავის რკინის გზა, რომ კავკასიასა და სპარსეთიდგან პირდაპირ იგზავნებოდეს ბერლინში ნავთი და თევზი.

*** სოფ. აღი. (ქართლი): მოგეხსენებათ, რომ წელს აპრილში დაარსდა აქ სამრევლო სკოლა. ორსამ კვირაში 37 შეგირდმა მოიყარა თავი. მასწავლებელი ბ-ნი მთვარელიშვილი შეუდგა საქმეს და თიბათვის 15-მდე სწავლება არ შეუწყვეტია. ამ მცირე ხანში ყმაწვილებმა რიგიანად დაიწყეს წერა - კითხვა. დღეს ამ სკოლის საქმე თითქო როგორღაც აირია: თითო-ოროლა მტერნი გაუჩნდნენ და, სჩანს, სთხოვეს, ვისიც ჯერ არს, შემოწმებულ იქმნას, მართლა სოფელმა ისურვა სკოლა, თუ არა, და, თუ ისურვა, თავის ნებით მოაწერეს მკვიდრთ ხელი სკოლის განაჩენზედ, თუ არაო. სურამის ბოქაულმა დაიწყო გამოკითხვა ხალხისა და თითო-ოროლა უარს ამბობს, მე არ მომიწერია ხელიო. ვნახოთ, საქმე როგორ წავა. წინანდელ მასწავლებელს სხვა სამსახური მისცეს და ეხლა ახალი მასწავლებელი მოგვივიდა, ბ-ნი ნა—ძე. სწავლება-კი ჯერ არ დაწყებულა.

*** სოფ. ალავერდი (კახეთი): მოგეხსენებათ, რომ ამ სოფელში დიდი ტაძარი სდგას ალავერდისა, სადაც ძველ-დროიდამვე მსხდარან მღვდელ-მთავარნი. ტაძარსაც და სოფელ ალავერდსაც დიდის ხნითვე ჰქონია წყაროს წყალი, რომელიც შემდეგ დამშრალა. სოფელი მას აქეთ ხმარობს ერთ პატარა მდინარის წყალს, რომელიც სოფელ ხორხას ჩამოუდის. ეს წყალი მუდამ მღვრიავეა ზაფხულობით, რადგან გამუდმებით ჰყრია შიგ საქონელი. ასეთი უვარგისი წყალია, სხვათა შორის, იმისი მიზეზი, რომ ალავერდში გამუდმებული ციებ-ცხელება ჰბუდობს ზაფხულ-ზამთარ. ყოვლად საჭირო იყო, რომ ამ გარემოებას ყურადღება მიჰქცეოდა და კარგი და მარგებელი წყალი გასჩენოდა სოფელს. ყოვლადსამღვდელო ბესარიონმა, ალავერდის ეპისკოპოსმა, დააწყებინა წელს ძებნა ზემოხსენებულ წყაროსი და აპოვნინა კიდეც. მილები ოთხ-ვერსის მანძილზე აღმოჩნდა ჩაწყობილი. იპოვნეს წყალიც. ძველი, დამტვრეული მილები, განაახლეს და წრევანდელ ალავერდობის დღესასწაულზედ პირველად მოიყვანეს სუფთა, გემრიელი და მარგებელი წყალი. წყარო თვითონ ეპისკოპოსმა აკურთხა 12 სექტემბერს. ამის გამო მლოცავნი დიდს სიხარულში იყვნენ.

*** სოფ. მოხისი (ქართლი): კარგა ხანია ჩვენს სოფელს ქურდები აღარ სწვევიან; ახლა-კი ცოტ-ცოტათი შემოგვეჩვივნენ. ამ წინაზე აქაურ მღვდელს ცხენი მოჰპარეს; ამ თვის 4 ე. კვალიაშვილის სათონე გასტეხეს და გაიტანეს ქვაბები და ავეჯეულობა, რაც-კი მოსწონებოდათ. ამ თვის 16-ს ხუთი ცხენი დაიკარგა მინდორში: ცამ ჩაყლაპა, თუ ქვეყანამ, პატრონებს დღესაც ვეღარსად უპოვნიათ.

*** სოფ. ხიდისთავი (გურია): ამ ზაფხულს აქ ორჯერ გაიმართა ქართული წარმოდგენა. პირველის წარმოდგენის შემოსავალი იყო 20 მან., ხარჯს გარდა რაც დარჩა, გადავეცით აქაურს სამრევლო სკოლას.

*** სურამი: აქეთ მხარეს რაღაც უცნაური ავადმყოფობა დადის: ავადმყოფს პირღებინება და ფაღარათობა ემართება და ზოგი კიდეც ესალმება წუთი-სოფელს. სოფელს ნაბახტევში, მაგალითად, ამ ავადმყოფობით სამი გარდაიცვალა. ერთი რამდენსამე ხანს იყო ავად, ხოლო ორნი ორს დღეს გაათავა სენმა. თვითონ ჩვენს დაბაშიაც ორნი არიან ამ ჟამად ავად ამისთანავე სენით. სოფ. ვაყაშიაც ერთი ქალი გარდაცვლილა ასეთისავე ავადმყოფობით. საჭიროა მალე გამოირკვეს, რა ავადმყოფობაა ეს ავადმყოფობა, რათა სოფლელებს გული დაუმშვიდდეთ. ასეთივე ავადმყოფობაა მოდებული, როგორც ნამდვილად ვიცით, სოფელ ხელთუბანს. ავადმყოფობა იქ თურმე ციებცხელებით იწყება და ავადმყოფი დიდხანსაც წვალობს.

სოფ. ვაყაში ქურდებმა მოჰპარეს აქაურ მემამულეთ რამდენიმე სული საქონელი.

---

გაზეთ Нов. Время-ში სწერია: ბერლინის კონგრესზე აწინდელმა კათალიკოსმა ხრიმიანმა, როგორც წარმომადგენელმა სომეხთა ერისა, მიჰმართა ევროპის სახელმწიფოს და შეევედრა, გაუმჯობესებულ იქმნას ბედ-იღბალი ოსმალეთის სომეხთა, უზრუნველ-იქმნას მათი სიცოცხლე, ქონება და თავისუფლებაო. მართალია, ოსმალეთისა და სპარსეთის სომეხთა მდგომარეობა არ არის კარგი და საჭიროა ზრუნვა მათ ბედიღბალზედ, მაგრამ ჯერ ძლიერ ადრეა სომეხთათვის პოლიტიკურ თავისუფლებაზედ ფიქრი და ზრუნვა.

სულ სხვა საქმეა რუსეთში: როცა პირველად დამყარდა რუსეთის მფლობელობა კავკასიაში, სომეხთა მდგომარეობა ძლიერ სავალალო იყო. მაგრამ ჩვენის მთავრობის გულშემატკივრობამ ამ დაცემულს ერს მიანიჭა უფლებანი ადამიანისა.

როცა რუსეთმა ერევნის სახანო დაიპყრო და ამასთანავე ეჩმიაძინი სპარსეთს ხელიდგან გამოაცალა, სომეხთა კათალიკოსს ისეთი პატივი ვეცით, რომელიც არც ერთს მართლმადიდებელ ეკკლესიის მღვდელ-მთავარს არ ჰღირსებია და ამავე დროს კი საქართველოს კათალიკოსს მერვე ადგილი ეხოძა ჩვენს სასულიერო იერარქიაში, ხოლო, ვარლამ კათალიკოსის სიკვდილის შემდეგ-კი, საქართველოში დავაწესეთ ექსარხოსობა და კათალიკოსის მაგიერ არქიეპისკოპოსი დავნიშნეთ ექსარხოსად.

---

### მთავრობის განკარგულებანი

—

გამოცხადებულია ბრძანება ხელმწიფე იმპერატორისა ამ წლის 11 ივლისის თარიღით, რომლითაც ნასმირ-ტყიბულის საზოგადოებას ნება მიეცა გამოსცეს ობლიგაციები არა უმეტეს 800,000 მანათისა, შემდეგის წესით: 1, თითო ობლიგაცია უნდა იყოს არა ნაკლებ 250 მანათისა და 2, რომ თავნისა და სარგებლის გარდახდა უზრუნველ იყოს: ა, სათადარიგო თანხით, ბ, საზოგადოების-მიერ გაკეთებულ თანხით და გ, საზოგადოების ყოველ მოძრავ და უძრავ ქონებით, რომელიც ეხლა აქვს, ანუ რასაც შემდეგ შეიძენს. ამისათვის ობლიგაციების განაღდებამდე უნდა განთავისუფლდეს საზოგადოების ქონება ყოველა ვალისაგან და კანონიერის წესით შეიკრას, რომ გაყიდვა და დაგირავება არ შეიძლებოდეს. თუ საზოგადოება გაკოტრდა, უპირველესად ობლიგაციების პატრონთ უნდა გასცენ პასუხი, გარდა იმ ვალისა, რომელიც პირველ ხარისხოვნად არის ცნობილი, თანხმად 1887 წ. გამოცემულ მე-XI წიგნის მეორე ნაწილის 599 მუხლისა.

ღირებულობა საზოგადოების ქონებისა ობლიგაციების გამოცემის წინად სახელმწიფო ქონებათა და ფინანსთა სამინისტროებმა უნდა გამოარკვიონ და დაამტკიცონ.

---

### დამაკვირდი

—

გულმშვიდად მოისმინა საყვედურისა იმისი თვისებაა, ვინც ხშირად ღირსი ყოფილა ქებისა.

პლინიუს

**

უვარგისი სიცოცხლე ადრეული სიკვდილია.

გეტე

**

ცუდია ბრძენი, რომელიც სულელთა დაცინვას გადარჩენია.

---

### შემოწირულობა

—

ქვემორაჭის წიგნთ-საცავის სასარგებლოდ შემოსწირეს: ვ. დათეშიძემ საქართველოს ისტორია ვახუშტისა, დ. ბაქრაძისა, მ. ჯანაშვილისა, დავით ასლანიშვილი ჯანდიერი, ნ. ბარათაშვილის თხზულებანი, ყველანი მშვენიერის ყდით, ღირებულნი 4 მან., ყ. პ. ნანეიშვილმა 6 ქართული წიგნი 5 მან. 60 კაპ., ი. კილაძემ 9 წიგნი 2 მან., სტეფანე გოგიტიძემ 5 რუსული წიგნი 1 მ. 50 კ., ბ. ნანეიშვილმა ერთი ქართული წიგნი 15 კაპ., სემინარიაში კურს დამთავრებულებმა: ს. წერეთელმა 5 ქართ. წ. 1 მ. 20 კ., ი. შუაქრიშვილმა 3 ქარ. წ. 1 მ,, მეექვსე კლასის მოწაფეებმა: პ. ფონქავიძემ 4 ქ. წ. 1 მ. 20 კ., ი. ცინცაძემ 2 ქ. წ. ყდაში 1 მ., იპ. ვართაგავამ 2 ქარ. წ. 45 კაპ., მ. ჭყოიძემ 3 ქ. წ. 1 მ. 20 კ., ი. ახალშენიშვილმა 1 ქ. წ. 40 კ., ა. თვალავაძემ 1 ქ. წ. 30 კაპ., კ. ანთაძემ 1 ქარ. 20 კ., ა. ნადირაძემ 3 ქ. წ. 30 კ. და მესამე კლასის მოწაფემ ბურჯანაძემ 3 ქ. წ. 65 კაპ. სულ 21 მან. 15 კაპ.

ქვემო რაჭის წიგნთსაცავის დამაარსებელ ამხანაგობის წევრთაგანი
ბლაღ. მღ. ნიკიფორე კანდელაკი

---

### კორესპონდენცია

—

**ოზურგეთი**, 18 სექტემბერი. მკითხველს ეცოდინება, უეჭველია, რომ აქაურ მკვიდრთა ხარჯით არსებობს აქ დედათა ორ-კლასიანი სასწავლებელი, რომელშიაც სულ ქართველები სწავლობენ. ამ სასწავლებლის საქმე დღემდე კარგად მიდიოდა. წელს მასწავლებელმა ქალმა ელ. ჭიჭინაძისამ თავი დაანება სასწავლებელს დირექციის განკარგულებით და ახალი მასწავლებელი იქმნა დანიშნული ამ სექტემბრიდამ. ელ. ჭიჭინაძის ადგილი ითხოვა აქაურმა ქალმა, მ. ბერიძისამ, რომელიც ახალ-სენაკის დედათა სასწავლებელში ასწავლის, აგერ ორი-სამი წელიწადია. დირექციაც დაჰპირდა ამ ადგილს და ჩვენის ქალაქის მკვიდრნიც სიამოვნებით მოელოდნენ თავიანთ მიწა-წყლის ასულს. მაგრამ ეს ასე არ მოხდა და მასწავლებლად გამოგზავნილ იქმნა ტ. იურასოვ-კალინინისა. სამწუხაროდ, არც ამ მასწავლებელმა და არც მეორემ ქართული არ იციან და, რასაკვირველია, ძნელია პირველში სწავლება იმისთანა ყმაწვილებისა, რომელთაც რუსული არ იციან. ყმაწვილები ჩივიან, მასწავლებელმა ქართული არ იცის და ვერაფერს ვერ „მიმახვიანო“.

სამაგიეროდ, ერთი სასიამოვნო ამბავი უნდა მოგახსენოთ. აქ გახლავთ სასულიერო სასწავლებელი, რომლის ზედამხედველმა ბ-ნმა ნიკ. ტატიშვილმა, განიზრახა წელს პირველ დასაწყისს საეპარქიო სასწავლებლის დაარსება. ითხოვა ნება-რთვა ამ თვის დამდეგს, მოაწყო ყველაფერი, მოიწვია მასწავლებელი-ქალი და სწავლაც გაჩაღდა. სულ ორ-სამ დღეში მოხერხდა ყოველივე. ზედამხედველს იმედი აქვს, რომ ამ სკოლას მალე ორ-კლასიან სკოლად გადავაქცევთ, თუ ჩვენი საქმე კარგად წავიდაო. მასწავლებელს-ქალს, როგორც თვით ზედამხედველი ამბობს, მოეხმარებიან სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელნი და, ეჭვი არ არის, საქმე კარგად წავა. ყველანი ახლა ამ სკოლას სიამოვნებით შევცქერით. ბევრმა ორ-კლასიან სასწავლებლიდამ გამოიყვანა თავისი ქალი და აქ მიაბარა. სწავლის ფასიც აქ ნაკლებია, ვიდრე ორ-კლასიანში. მთელი ოზურგეთია და ამ სკოლის შესახებ ლაპარაკი. სალაპარაკოც არის, სწორედ მოგახსენოთ, ფულს ვიხდით ორ-კლასიანის სკოლის არსებობისათვის და შვილებს-კი იქ ვაძლევთ, საცა სკოლა ჩვენის ხარჯით არ არის დაარსებული.

ოც—ლი

---

### ხალხური ლექსი

(მეთვალყურეს-მიერ ჩაწერილი)

კამბეჩის მეხრე ვიყავი,
მეში მეცვა და მეხვია;
ასი მომიკლავს თათარი,
ორასი დამიჩეხია;
არსად-რა მითქვამს აქამდინ,
არსად რა დამიკვეხია:
ვაჟკაცს, ქალებში მკვეხარსა,
თავში დაეცა მეხია.

---

## რუსეთი

—

ქალაქ ორიოლიდგან სწერენ გაზ. Новости-ს: ორიოლის გუბერნიის ერობას შემდეგი პროექტი შეუდგენია გლეხთათვის პურში სესხის გაცემისა: ამ პროექტით საჭიროა მაზრის ქალაქებში დაქირავებულ იქმნას ბეღელი, რომელშიაც შეინახება ხორბალი ფულის მსესხებელისა. გლეხი, რომელიც ფულს ისესხებს, გირაოდ ხორბალს მიიტანს და კვიტანციას მიიღებს. ამ კვიტანციით მიიღებს სესხსა. ამ გვარად ერთსა და იმავე დროს მომეტებული პური არ იქმნება ბაზარში გამოტანილი და პურის ფასიც არ დაიწევს და შესაძლებელი იქმნება, პური იმ ფასად არ გაიყიდოს, რომ ფულის მსესხებელმა იზარალოს.

---

## უცხოეთი

—

**ესპანია**. ანარქისტმა პაიასმა (პალლასმა) განიზრახა გენერალ-კამპოსის მოკვლა. ამ გარემოების გამო ბარცელონსა და მადრიდში მრავალი ანარქისტი დააპატიმრეს. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ პაიასი უწინ ბრაზილიაში სცხოვრობდა, არგენტინის რესპუბლიკაში. ცხოვრება მეტად გაუჭირდა და ბარცელონას დაბრუნდა. ბედმა აქაც არ გაუღიმა და ძლიერ ეძნელებოდა ცოლისა და სამის შვილის შენახვა. პაიასი მშრომელი, კარგის ხასიათისა და წიგნის კითხვის მოყვარული კაცი ყოფილა. იმ დღეს, როცა გენერალ კამპოსის მოკვლა განიზრახა, პაიასი ჩვეულებრივზე ადრე ადგა, რვა საათზედ სახლიდგან წავიდა და ცოლს უთხრა: სადილად ნუ მელოდები, გვიან მოვალო. პაიასს ეტყობა, რომ განათლებული კაცია, ციხეში გულ-დინჯად არის, მოსვენებით სძინავს, საჭმელს ძლიერ ცოტასა სჭამს. არ ჰმალავს, ანარქისტთა დასს ვეკუთვნიო და ძლიერ ნანობს, რომ თავისი განზრახვა ვერ შეასრულა.

—

**სერბიის** გაზეთების სიტყვით, ავსტრიის მთავრობა ამაგრებს მდინარე ლომის ხეობას, რათა მის ჯარს გაუადვილდეს წასვლა სამხრეთისკენ, თესალონიკესკენ. ამ ამბის გამო ხონთქარი შეფიქრიანდა და დაავალა თავის ელჩს ვენაში, ავსტრიის მთავრობას პასუხი მოსთხოვე ამ საქმის შესახებაო.

—

**შვეიცარია**. საერთაშორისო კონგრესს, რომელიც შეიკრიბა ლოზანში, სენატორ ბერანჟესა და ჟულ-სიმონის მეთაურობით, ბევრი ვერაფერი გაურიგებია. საზოგადოდ კონგრესს სავნად უნდა ჰქონოდა ბრძოლა გამრყვნელ ლიტერატურის წინააღმდეგ. ხოლო აღმოჩნდა, რომ კონგრესს სურდა თავისი აზრი გაევრცელებინა მწერლობაში.

ყოველთვის გამოჩენილან მსურველნი ლიტერატურის მიმართულების შეცვლისა, მაგრამ ვერაფერი გაუწყვიათ. ან რად ავიწყდებათ ამ ზნეობის მქადაგებელთ, რომ ლიტერატურა-კი არა ჰბადავს ასეთსა თუ ისეთს ზნე-ჩვეულებას, არამედ თვით ზნე-ჩვეულება ჰბადავს შესაფერ ლიტერატურასა. უკეთესი იქმნებოდა, რომ ამ ზნე-ჩვეულების მქადაგებელთ ახალთაობის აღზრდას მიჰყონ ხელი და ზნეობა რომ აიწევს, გამრყვნელ ლიტერატურასაც მუშტარი მოაკლდება. მაგრამ ვიდრე უზნეო და გარყვნილი ახალგაზდობა გვყავს, ზემოხსენებულისთანა კონგრესები ვერას გააწყობენ და მათი ხმა დარჩება „ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა“.

—

**ამერიკის** რკინის გზების კომპანიებს ერთი კარგი წესი აქვთ შემოღებული. ცალკე წიგნაკებში, სადაც რკინის გზის ტარიფებია დაბეჭდილი, მოთავსებულია რუკები ქვეყნისა, აღწერილობა შესანიშნავ ადგილებისა, სურათები მცხოვრებთა, მათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხასიათი და უმთავრესი წყარო ცხოვრებისა. წიგნაკები მრავლად იბეჭდება.

—

**ირლანდიის** ცნობილმა დეპუტატმა ობ'რიენმა სიტყვა წარმოსთქვა და შეეხო, სხვათაშორის, პარნელის დასსაც. ამ დასმა უფრო ბევრი გვავნო პარლამენტში, ვიდრე სხვა მოწინააღმდეგე დასმა, სთქვა ორატორმა, და მხოლოდ ნაციონალისტთა დახმარებამ დაიხსნა სამინისტრო დამარცხებისაგან. ლიბერალთა დასმა, რომელსაც მრავალ ნაირ ცილსა სწამებდნენ, არ უღალატა ირლანდიის საქმეს და ირლანდიელნი მას აქედ, რაც საერთო სამეფო დამყარდა, პირველად ჰხედავენ, რომ დიდის ბრიტანიის წარმომადგენელნი თხოულობენ აღსრულებას პრინციპისას: „ირლანდია—ირლანდიისათვის“. გახსოვდეთ, რომ ბილლის ნაკლულევანების აცილება შემდეგშიც შეიძლება, ხოლო თვით იგი და მისი ღირსება სამუდამოდ დარჩება. ლორდთა პალატა საშიში არ არის; ის ყოველთვის დამარცხებულა და ეხლაც ესე მოხდება.

—

**ჩიკაგოს** გამოფენა ელექტრონით არის განათებული. 100,000 ლამპარი, რომელთაგან თითოს 10 და 16 სანთლის ძალა აქვს, ანათებს გამოფენის უმთავრეს შენობას გარედგან, აუზსა და უმთავრეს გალერეას. ქუჩა და სხვა შენობანი განათებულია რავდენსამე ათას ლამპრით, რომელთაგან თითოს 2000 სანთლის სინათლე აქვს. მხოლოდ ერთ შენობაში, სადაც სამანუფაქტურო ხელოვნებათა განყოფილებაა, 12000 ლამპარია. შესანიშნავია 5 ჭაღი 78 ლამპარით; ჭაღი ჩამოკიდებულია ფოლადის ჯაჭვით. თითო ლამპარი 2000 სანთელს უდრის და ყველანი ერთად—828000 სანთელს. ამ ხუთის ჭაღის სინათლე საკმარისი იქმნებოდა ათი იმოდენა ქალაქის გასანათებლად, როგორც ტფილისია.

## თეატრის მატიანე

—

ბერლინის ერთს თეატრში წარმოადგინეს კომედია ჰაუპტმანისა—Der Biberpelz, eine Diebes Comödie. ავტორი ცნობილია, როგორც ნიჭიერი დრამატურგი, რომელიც ცხოვრებას სისწორითა ჰხატავს, ხოლო დასახელებული კომედია არ მოეწონათ მაყურებელთ იმის გამო, ვითომ, როგორც გაზეთები ამბობენ, რომ პიესა არ არის დამთავრებული: მაყურებელსა ჰგონია, აი ეხლა აქ იწყება კვანძი კომედიისაო, და ეს-კი სწორედ ბოლო ყოფილა. შინაარსი კომედიისა ასეთია: სოფლის მამასახლისი დაუცხრომელი მტერია სოციალ-დემოკრატებისა, სდევნის, იჭერს და, იმის ცხვირ-წინ რომ ქურდ-ავაზაკები დანავარდობენ, იმას ვერა ჰხედავს. კარგად არის დასურათებული ბერლინის ახლო მდებარე სოფლის ზნე-დაცემული ხალხი, თუმცა მამასახლისი სულ იმას გაიძახის, რომ სოციალ-ლიბერალთ გარდა სოფელში ყველა პატიოსანი და შრომის მოყვარე კაციაო.

## ბიბლიოგრაფია

—

Краткое практическое руководство къ правильному устройству и веденію сельскаго хозяйства, К. Ф. Гагена. СПБ. 1893 г., цѣна 30 коп.

ამ წიგნში მოთავსებულია ცნობები შესახებ მეურნეობისა, საქონლის მოშენებისა და სხვ. უმთავრესი ღირსება ამ წიგნისა ის არის, რომ შედგენილია მცირე მემამულეთათვის.

—

ბერლინში დაიბეჭდა ახალი წიგნი Handworterbuch der Staatswissenschaften. ამ წიგნში პროფესორი ლეკსისი პროტექციონისტების სწავლა-მოძღვრებას არჩევს და მოკლედ მოჰყავს ევროპისა და ამერიკის ბაჟების ისტორია. თუ ის მართალია, რასაც ჩვენი მწერლები გაიძახიან, ვითომ მრეწველობა მაშინ გაძლიერდება, უკეთუ მთავრობა უცხო ქვეყნის ნაწარმოებს კარს დაუკეტავს, ან დიდ ბაჟს დაადებსო, მაშინ ამ ვითომ-და საეკონომიო საპოლიტიკო კანონს ყველგან ერთი და იგივე შედეგი უნდა ჰქონოდა, მრეწველობა უნდა გაძლიერებულიყო მაშინ, როცა მთავრობა ეხმარებოდა, და დაცემულიყო, როცა მზრუნველობა მოაკლდებოდა. ნამდვილად-კი ასე არა ყოფილა. არამც თუ ინგლისში, რომელმაც ამ საქმეში გაცილებით აჯობა ყველა სხვა სახელმწიფოებს, არამედ გერმანიაშიაც მრეწველობა მაშინ ძლიერდებოდა, როდესაც ვაჭრობა თავისუფალი იყო. თუ ამას ვიტყვით, რომ ინგლისი სხვასთან არ არის შესადარებელი, რადგანაც თვით ბუნებრივი მდებარეობა უწყობს ხელს და ამას გარდა მრეწველობაც პირველად იქ აღორძინდა და იმისთვის არა ჰყავს მეტოქე,—გერმანიას ხომ არა აქვს ბუნებრივი ანუ სხვა უპირატესობა. მის და ინგლისის ნაწარმოების შეხლა-შეჯიბრება ჩვენსავე ნიადაგზედ—მეტად საყურადღებოა. ჩვენი მრეწველობა, რომელიც ეხლა აოცებს უცხო ქვეყნელთ, რომლის ნაწარმოებმა სახელი გაითქვა და დიდი ბაზარი დაიპყრო, სიკარგისა და იაფობის გამო,—ეს მრეწველობა აღორძინდა არა იმისთანა სადამოჟნო კედლებ-შუა, როგორიც მოსწონთ ჩვენს მექარხნეებს.

შესანიშნავნი სახელმწიფო მოღვაწენი, რომელნიც პრუსიას უდგნენ სათავეში ნაპოლეონის შემოსევისა და ოხრების შემდეგ, საეკონომიო საგნებში ადამ სმიტის შეგირდები იყვნენ. დიდი რეფორმები შტეინისა და გარდენბერგის დროს ამითია შესანიშნავი, რომ მაშინ გაუქმდა ყოველი შემავიწროვებელი კანონები ვაჭრობისა და ბაჟიც შემცირდა. 1818 წლის ტარიფით ბაჟი არ აღემატებოდა საქონლის ღირეულობის მეათედს; 1821 წელს ეს ბაჟიც შემცირდა და როდესაც ევროპის სახელმწიფოები საერთო ტარიფს აწესებდა, პრუსიის ტარიფი იქმნა სავალდებულოდ მიღებული. შემდეგ პროტექციონისტთა მოძღვრებამ თანდათან გაიმარჯვა, თუმცა იმ ზომამდე არაოდეს არ ასულა, როგორც ეხლა. 40 და 50-იან წლებში ბაჟი დასახმარებელ იარაღად იყო ცნობილი, რომ სამშობლო მრეწველობას ფეხი აედგა, ეხლა-კი პროტექციონისტები იმასა სცდილობენ, რომ ამათ სურვილს ხელი არავინ შეუშალოს და შინაურ მრეწველებმა დიდი მოგება ჩაიჩხრიალონ.

1860—1865 წლებში ვაჭრობას ისევ თავისუფლება მიენიჭა, რომლითაც სარგებლობდა 1879 წლამდე, როდესაც თავ. ბისმარკი პროტექციონიზმსა და სამეურნეო პოლიტიკას დაადგა. ვინც დაჰკვირვებია და კარგად შეუსწავლია გერმანიის მრეწველობის საქმე, იმისთვის ცხადია, რომ მრეწველობა გაძლიერდა 1860—1870 წლებში. ამ დროს აღორძინდა მრავალი ახალი საქმე, ამ დროს დაიპყრო გერმანიამ დიდი ბაზარი. ბისმარკის წინადვე გერმანია ჰგზავნიდა თვის ნაწარმოებს 3 მილიარდის მარკად ღირებულსა და ამ რიცხვს აღარა მოემატა-რა 12 წლის განმავლობაში, როცა ბისმარკი პროტექციონისტთა მოძღვრებით ხელმძღვანელობდა. მხოლოდ საბაჟო შემოსავალს მოემატა: ასის მაგიერ ეხლა სამასი მილიონია, რომელსაც გერმანიის ერი იხდის.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

თურმე ტონკონის მცხოვრებნი ძლიერ სასტიკად ექცევიან ერთმანერთის მოღალატე ცოლ-ქმარს. ამას წინად რამდენიმე ევროპიელი შემდეგს ამბავს შესწრებია. ევროპიელნი მდინარის ნაპირზედ მდგარან და ამ დროს წყალს ჩამოუტარებია ერთი ტივი. ტივზედა ყოფილა ტანთ გახდილი კაცი და ქალი, ერთმანერთზედ გადაბმულნი. ორთავეს პირი თიხათა ჰქონდათ ამოლესილი და ტუჩები წითელის ძაფით გადაკერებული. ევროპიელთ უნდოდათ მიშველებოდნენ, მაგრამ ახლოს ნავი არსად იყო და ვიდრე ნავს იპოვნიდნენ, ტივი წყალმა კიდეც ჩაატარა და უეჭველია სადმე დაამსხვრია. ადგილობრივ მცხოვრებთ უამბნიათ ევროპიელთ, ეგ საცოდავნი ღალატისთვის იქმნენ დასჯილნიო. ცოლ-ქმრობის მოღალატეს ტონკინელები კიდევ ასე სჯიან თურმე: დამნაშავეთა წინ დააწყობენ მშვენიერს საჭმელსა და სასმელს და-კი არას აჭმევენ და ისე სტანჯავენ.

**

ერთს ცნობის მოყვარე კაცს შემდეგის წერილით მიუმართავს გაზეთ Times-ის გამომცემლისთვის:

„მოწყალეო ხელმწიფევ! შევიტყე, რომ ზოლას ჩინებულად დაუხვდნენ ლორდ-მერი და ლონდონის მცხოვრებნი. კარგად ვიცი-კი, რომ დიდი ხანი არ არის, რაც ლონდონში ერთი კაცი დააპატიმრეს, ზოლას თხზულება რად დაჰბეჭდეო. გთხოვთ ამიხსნათ, რას ჰნიშნავს ეს ორი, ერთმანერთს შეუთანხმებელი ამბავი?“

## ნაწერთებში

თქვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო მოთხრობა „ქალი თუ ვეფხი!“ ჩემის აზრით, საიდუმლო ოთახიდგან ქალი გამოვიდა. ახალგაზდა კაცის მოტრფიალე ქალი ვეფხის კარს ვერ უჩვენებდა, რადგანაც მიჯნურს სასიკვდილოდ ვერ გასწირავდა და, თუ ვეფხზედ მიუთითებდა, მაშინ ხომ კეთილშობილურს გრძნობას მოკლებული იქმნებოდა და სათაყვანოდ არავინ გაიხდიდა.
18 სექტემბერს.

მკერვალი

გაზეთ Гражданинъ-ში შემდეგი ანეკდოტია დაბეჭდილი:

გენერალი ეკითხება ჯარის კაცს:

— დღეში რამდენ გირვანქა პურს გაძლევენ?

— სამ გირვანქას, თქვენო აღმატებულებავ!

— მერე, გყოფნის სამი გირვანქა?

— მყოფნის, თქვენო აღმატებულებავ!

— გრჩება კიდევ პური?

— მრჩება, თქვენო აღმატებულებავ!

— მერე რას უშვრები დარჩენილ პურსა?

— ვჭამ, თქვენო აღმატებულებავ!

## გამოსადეგი ცნობანი

—

როგორ შეიძლება მოყვანა უშველებელის მარწყვისა. აიღეთ გრაფინი კარგის თეთრის მინისა, ჩაჰყარეთ მიწა, მოანამეთ წყალითა, რომ მიწა დაჯდეს. ჩააღრმავეთ ჩხირით შუა ადგილი, ჩაჰყარეთ სუთი-ექვსი მარცვალი მარწყვის თესლისა, წააყარეთ კიდევ მიწა იმდენივე, რავდენიც ძირშია, მოანამეთ, დაუცეთ პირი გრაფინს და წმინდა სანთლით თავი მოუწებეთ, რომ ჰაერი არ ჩავიდეს და თბილ ადგილს დასდგით.

ორ კვირაზედ თესლი ამოვა და კიდევ ერთის თთვის შემდეგ ისეთს უშველებელ მარწყვს მოისხამს, რომ იმის ამოღება შეუძლებელია, თუ გრაფინი არ გასტეხეთ.

## სამეურნეო საზოგადოებანი პრუსიაში

მთელ ევროპის სახელმწიფოთა შორის ყველაზედ ადრე პრუსიაში დაარსდა მეურნეობის სამინისტრო. ამასთანავე დაარსდა კიდევ სამეურნეო საზოგადოებანი, ანუ, როგორც პრუსიაში ეძახიან, ფერეინები. ასეთი საზოგადოება პრუსიაში ორი ათასამდეა. საზოგადოებათ 150,000 წევრზედ მეტი ჰყავთ. რამდენად ჩამორჩა ამ მხრივ პრუსიას რუსეთის სახელმწიფო, აშკარად გამოჩნდება, ამ მხრივ რომ რუსეთი პრუსიას შევადაროთ. რუსეთში ოთხჯერ მეტი მცხოვრებია, ვიდრე პრუსიაში და სულ 130 სამეურნეო საზოგადოებაა (განყოფილებით); ამათში უმეტესი ნაწილი ბალტიის გუბერნიებშია.

პრუსიის საზოგადოებანი, ანუ ფერეინები მეურნეთ შუამავლობას უწევენ მთავრობის წინაშე. მხოლოდ ამ საზოგადოებათ აქვთ უფლება მოახსენონ მთავრობას გაჭირვება მეურნეთა და შემწეობა სთხოვონ. მთავრობა ყოველ წლივ ეხმარება ამ საზოგადოებათ და წელიწადში აძლევს 900,000 მარკას შემწეობასა. ამ ფულს თვით ფერეინები ანაწილებენ მეურნეთა დასახმარებლად. ერობანიც ძლიერ ეხმარებიან ფერეინებს. მათის წყალობით პრუსიაში დაარსდა მრავალი სამეურნეო სასწავლებელი. იმ სოფლებში, სადაც ასეთი სასწავლებლები არ არის, დრო გამოშვებით ჰგზავნიან მასწავლებლებს; ჯერ ერთს სოფელში წავა ასეთი მასწავლებელი, მერე მეორეში და ყველგან ასწავლის გლეხებს ახალს ცნობებს მეურნეობის შესახებ.

# დეპეშა

23 სექტემბერი

**პეტერბურგი.** გამოცხადდა ახალი 15% -ით შემცირებული ტარიფი რუსეთის პურის გადატანისა ავსტრიაზედ იტალიასა, შვეიცარიასა, და საფრანგეთში.

**ლონდონი.** დიურანის მისსია მივიდა ქაბულს 2 ოქტომბერს (ახალის სტილით). მისსიის დასახვედრად ქალაქ გარედ გაგზავნილ იქმნა ცხენოსანთა რაზმი, რომელმაც ინგლისელნი ქაბულამდე მიაცილა; დიურანსა და მის მხლებელთ ავლანის ემირი თავაზიანად დაუხვდა და გაუმასპინძლდა.

### პეტერბურგის ბირჟა, 21 სექტ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7.62 | 7,66 | — ,, |
| შინაურის კუპონები | 152¼ | 153 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — ,, | — ,, | 240 |
| —მეორისა . . . . . | — ,, | — ,, | 217 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 192 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — ,, | 100½ | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | 100 | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | 100¼ | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | 100 | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 97¾ | — ,, | — ,' |

## გამოსადეგი ცნობანი

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 2 წ. საღ.

. . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 30 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 20 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ.

ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ**

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალ-

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და საალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში. ფე ახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

—



# განცხადებანი

ქუთაისის განყოფილება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისა ამით აცხადებს ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა საცნობე-

ლად, რომ **ქუთაისის სამეურნეო სკოლაში** სწავლა დაიწყება 1 ნოემბერს ამა წლისა. თხოვნა მოსწავლეთა მიღების შესახებ მიიღება 15 ოქტომბრამდე, ხოლო მოსწავლეთა გამოსაცდელი ეგზამენები დაიწყება 20 ოქტომბრიდგან.

სკოლაში მიიღებიან მოზარდნი არა ნაკლებ 14 წლისა და უნდა შესწავლული ჰქონდეთ ორ-კლასიან სასოფლო ნორმალურ სკოლათა კურსი. პირველ წელს მიღებულ იქმნება პანსიონში არა უმეტეს 30 მოსწავლისა რომელთაგან სკოლის სრულ ხარჯზე იქმნება 15 და თავის ხარჯით (120 მანათი წელიწადში) 15 მოსწავლე. თხოვნა და დოკუმენტები უნდა გაეგზავნოს სკოლის მზრუნველს სტეფანე ქრისტოფორის ძეს ხოჯაევს. (3—1)

---

**კავკასიის ადგილობრივ მსროლელთა რაზმის უფროსი** ამით აცხადებს, რომ 25 **ოქტომბერს ქალაქ ოზურგეთში** მსროლელთა რაზმის კანცელარიაში დანიშნულია ვაჭრობა იჯარისგასაცემლ. იჯარადარი მოვალე იქმნება 1894 წელს ზემოხსენებულ რაზმს ხორცი აძლიოს.

რაზმში 24 აფიცერია და 862 ჯარის კაცი. (3—1)

---

# კბილის ექიმი
# ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

**ავადმყოფებს მიიღებს:**

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევიე 2 საათამდე. (150—103)

---

ბალსხეულის კარამელი

ხველების წამალი

## „ბემსჰი ბოსს“

ზ. სუმადენისა, კიევში

უმთავრესი საწყობი Александра Венцель, С.-Петербургъ, Гороховая, № 33. იყიდება რუსეთის ყველა აფთიაქებში და აფთიაქების მაღაზიებში.

М. (20—3)

---

ქ. ოზურგეთსა და ახალ-სენაკ შ კ. თავართქილაძის-მიერ ახლად გამოცემულია შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ხოლერა და იმისი თავიდან ასაცდენი დარიგებანი, დიმ. ერისთავისა . . . . | „ | 10 |
| სამშობლოს სიყვარული, მონტეგაციდან, ს. ყიფიანისა | „ | 5 |
| თეოფ. ხუსკივაძის ნაწერები | „ | 30 |
| საყმაწვილო ბიბლიოთეკა ოცხანელისა, მეორე გამოცემა . . . . . | „ | 5 |
| ამპარტავანი გიორგი, მეორე გამოცემა, გარშინისა . . | „ | 5 |
| ვეფხის-ტყაოსანი სურათით და მოკლე ბიოგრაფიით, მეორე გამოცემა . . . | „ | 40 |
| სიმონა, ე. ნინოშვილისა . | „ | 30 |
| რამდენიმე მოთხრობა, ე. ნინოშვილისა . . . . . | „ | 50 |

და სხვა და სხვ...

---

# მამოსადეგი ცნობანი
# პირველი კერძო სამკურნალო
## ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოვანი, 9—$10^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, $10^1/_2$—$11^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და. დედათა სქესისა.

ი. ფ პროტასევიჩი, $11^1/_2$—$12^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. ვ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. გურკო, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—$7^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

---

# საკომერციო კურსები
## ქალებისა და ვაჟებისათვის

წელი მეთორმეტე

კურსებისს დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შეძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1893—94 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნეგა სასწავლებელი: 1) საკომერციო კონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი, ორ-კეცი დ საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერაა 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზე, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მაიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—22)

---

# პანსიონი ტერ-აკოფოვისა

გიმნაზიის და რეალურ სასწავლებლის ოთხის კლასის კურსით

გადავიდა განოვის ქუჩაზედ, № 11, საკუთარი სახლი

იყვანს შეგირდებს მოსამზადებლად **გიმნაზიებსა, რეალურ სასწავლებლებსა და კადეტთა კორპუსებში** მეოთხე კლასამდე, **მიწის მზომელთა და იუნკრების სასწავლებლებში** მისაღებად.

პანსიონთან არის საყმაწვილო ბაღი.

პანსიონში ასწავლიან გიმნაზიის მასწავლებლები.

(8—950—8)

---

# სასაპარელო ესსენცია კოლბეირსა

(Essence de Salsepareille Colbert)

საუკეთესო წამალი სისხლის დასაწმენდად

იარლიკზე უნდა იყოს ამომჯდარ ასოებით წითლად დაბეჭდილი

რუსეთის ყველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.

---



# ა. რალლე და კომპ.

მის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის კარის იჯარადარნი.

# აპონური საპონი
## „მუსე“

მხოლოდ ჩვენ შეგვიძლიან ამ საპნის კეთება, პრივილეგია გამოცხადებულია № 1026-ით.

იყიდება ყველა რუსეთის ქალაქებში.

---

# Fleichner's Fettpuder

მსუქანი პუდრა ლეისნერისა

კოლოფით 1 მანეთია

პუდრა დილისა და საღამოს სახმარი, სახეს არ ემჩნევა. პირის კანს აკეთებს. თეატრის გრიმისთვისაც კარგია. მსუქანი ფერ-უმარილი. ყარანდაში წარბებისთვის. რუსეთის ყველა აფთიაქში და კოსმეტიურ მაღაზიებში იშოვება.

**ლ. ლეიხნერი, ბერლინში,**

ბერლინის საიმპერატორო თეატრის იჯარადარი.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის: В. Аурихъ, Колокольная, 18—19.

С.-Петербургъ. 6—6

---



# VÉRITABLE BÉNÉDICTINE

(ნამდვილი ლიკიორი ბენიდიქტნი)

Fécamp-ის სააბატოსი (საფრანგეთში)

საუცხოო, ადამიანის მომღონიერებელი, საჭმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.

უველაზედ საუკეთესო ლიკიორთა შორის

VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l'Étranger
A. Legrand aîné

ყოველთვის მოითხოვეთ, რომ ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდეს დაკრული ბოთლს ქვემოდგან, უფროსის დირექტორის მიერ ხელ-მოწერილი.

**ისყიდება** საუკეთესო გასტრონომიის მაღაზიებში დ ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში.

---




ტფილ. გამოფენა.




ვერცხლისა




ოქროსი

# ალექსი თუთაევის
## ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ
**ტფილისში:**

ვიღებ სახლების აშენებას, აგრედვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასად ზეთს, ყოველ ნაირ ზეთიანს და მშრალ კრასკებს, აგრედვე ლიტო-ტიპოგრაფიისას და ამათ მოწყობილებას, კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებშიაც 20%-ის ზეის გამოგზავნით, დანარჩენი საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). რაც შეეხება კარგი თვისების და კარგა შეზავებულის კრასკის გაყიდვას, ყველა მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს რომ უტყუარი იქნება. ჩემის საშუალებით და ჩემის თავდებობით შეუძლიან ყველას ყველანაირის სინიდისიანის ხელოსნების შოვნა, მხოლოდ ცოტა ადრე უნდა შეგვატყობინონ.

(48—48) ალ. თუთაევი

Доз. ценз. Тифлисъ, 24-го Сентября 1893 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე